ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032416490-03
თარიღი: 12.06.2024 17:35
ვადა: 12.07.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01241642774 განცხადების თარიღი: 12.06.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

- 84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032416490-03
12.06.2024 : 17:35
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01241642774**
თარიღი: **12/06/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N 2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის №84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, განმარტებით ბარათსა და ქალაქ თბილისის მთავრობის 2024 წლის 12 ივნისის N 24.1002.1117 განკარგულებას.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 24.1002.1117
12 / ივნისი / 2024 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცხობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>დანართი</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2024 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84 - 64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილების (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 05/07/2021, სარეგისტრაციო კოდი 280120000.35.101.016882) პირველი მუხლით დამტკიცებულ „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესში" (დანართი №1) და :

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ქვეპროგრამა – „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" (კოდი: 06 02 09) ქვეპროგრამა;

ბ) მერია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

გ) სამსახური – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური;

დ)სამედიცინო მომსახურება – საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან და აღდგენასთან;

ე) სხვა საჭიროება – მოიცავს მედიკამენტსა და მედიკამენტისგან განსხვავებულ საჭიროებას;

ვ)მიმწოდებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების მიწოდებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა, ასევე საზღვარგარეთ მოქმედი ორგანიზაცია, სადაც შესაძლებელია მოსარგებლე პირის მიერ დასაფინანსებლად მოთხოვნილი სამედიცინო მომსახურების მიღება.

ზ)კომისია – „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისია";

თ)აქტიური მოთხოვნა – სამედიცინო მომსახურების/ სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში წარდგენილი მოთხოვნა, რომელიც იმყოფება განხილვის ეტაპზე;

ი)მოდული – მიმართვების ადმინისტრირების ელექტრონული პროგრამა;
კ)გადაწყვეტილების გააქტიურება – დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მომსახურების მიწოდების დაწყება.
ლ)გადაწყვეტილების განაღდება – სხვა საჭიროების (მედიკამენტის) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მედიკამენტის გაცემა.
მ) გადაწყვეტილების ნაწილობრივ განაღდება - სხვა საჭიროების (მედიკამენტის) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მედიკამენტის ნაწილობრივ გაცემა.
ნ)მოთხოვნის ფორმა – ფორმა, რომელსაც სხვა საჭიროების მიმწოდებელი გასცემს მოთხოვნის მოდულში რეგისტრაციის შემდგომ და პირი/მისი კანონიერი წარმომადგენელი წარუდგენს სამსახურს;
ო) ელექტრონული რეესტრი – გააქტიურებული და განაღდებული/ნაწილობრივ განაღდებული შემთხვევების აღწერა.
პ) მონიტორინგის განყოფილება – სამსახურის პროგრამების მონიტორინგის განყოფილება, მოთხოვნის კონტროლზე უფლებამოსილი პირი.
ჟ) თავშესაფარი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/კ: 406153111) მართვაში არსებული „ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი“.“

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კომისიისათვის განცხადებით მიმართვამდე 6 თვით ადრე მაინც, რეგისტირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება თავშესაფრის ბენეფიციარებზე, აგრეთვე იმ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომელთაც ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოებულ „დევნილთა მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.“

გ) მე-4 მუხლის
გ.ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. სხვა საჭიროების მიმწოდებელი ვალდებულია მოდულის მეშვეობით ელექტრონულად წარმოადგინოს:
ა) მოსარგებლე პირის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაო ადგილი);
ბ) მედიკამენტის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, მედიკამენტების ჩამონათვალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 8 სავაჭრო დასახელებას, რომლის დანიშნულებისამებრ მიღების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;
გ) მედიკამენტისგან განსხვავებული სხვა საჭიროებათა დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროებათა ჩამონათვალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 8 სავაჭრო დასახელებას.
დ) ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (კალკულაცია), რომელიც გაცემული უნდა იყოს მერიაში დაფინანსების მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე.“

გ.ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. თავშესაფრის ბენეფიციარებს ქვეპროგრამით სარგებლობა ასევე შეუძლიათ მიმწოდებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე.

დ) მე-5 მუხლის
დ.ა) მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ თუ:
გ.ა) შესწავლისას დადგინდა, რომ პირი არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ მოსარგებლის კრიტერიუმებს;
გ.ბ) სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების მოთხოვნისას, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.
გ.გ) სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსებისას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ან/და კერძო დაზღვევის ან/და რეფერალური მომსახურების (ასეთი დაფინანსებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა თანადაფინანსების შემდეგ, დარჩენილი თანხა არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს.
გ.დ) სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე აქტიური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მათგანის ღირებულება არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს, გარდა იმ შემთხვევისა თუ რამდენიმე აქტიური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მოთხოვნის ღირებულება 1000 (ათასი) ლარზე ნაკლებია, მაგრამ ერთი და იმავე მიმწოდებლის მიერაა წარმოდგენილი;
გ.ე) „გ.ბ", „გ.გ" და „გ.დ" ქვეპუნქტების მოქმედება არ ვრცელდება თავშესაფარის ბენეფიციარებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ რეგისტრაციის კონკრეტული მისამართი."
გ.ვ) სამედიცინო მომსახურება/სხვა საჭიროება დაფინანსებულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სრულად, თუმცა პირი ითხოვს სხვა არასამედიცინო სერვისების, მათ შორის, ექიმის ჰონორარის, VIP პალატის და სხვათა ანაზღაურებას.
გ.ზ) ინფორმაციის შესწავლისას (მათ შორის, ფორმა №IV-100/ა ან სხვა დოკუმენტები) დადგინდა, რომ პირს უკვე გაეწია სამედიცინო მომსახურება და გაწერილია შესაბამისი დაწესებულებიდან;
გ.თ) პირი ითხოვს გამოყოფილი თანხის გაზრდას იმ მოთხოვნაზე, რომელზეც სამსახურის უფროსის/მერის მიერ უკვე მიღებული იქნა გადაწყვეტილება;
გ.ი) ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო ისეთი მედიკამენტების დაფინანსების მოთხოვნისას, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სრულად ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.
გ.კ) განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირის ბოლო დაფინანსებაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ახალი განცხადების/მოთხოვნის მერიაში/მოდულში რეგისტრაციის თარიღამდე გასულია არაუმეტეს 3 თვისა, გარდა:
გ.კ.ა) გადაუდებლად დაფინანსების შემთხვევისა;
გ.კ.ბ) იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურდება, რომ განმცხადებელი თავშესაფრის ბენეფიციარია.

გ.კ.გ) იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურდება, რომ პირის მიერ არ მომხდარა დაფინანსებული თანხის გამოყენება და წარმოდგენილია თავდაპირველად დაფინანსებულისგან განსხვავებული შინაარსის მოთხოვნა (აღნიშნული გამონაკლისი ვრცელდება ასევე მიმწოდებლის მხრიდან მედინაკამენტის მარაგის არ ქონით განპირობებულ შემთხვევებზე).

გ.კ.დ) იმ შემთხვევისა, როცა დასტურდება, რომ პირის მიერ წარმოდგენილ ბოლო დაფინანსების მოთხოვნაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემდგომ, პირმა წარმოადგინა წინა მოთხოვნისაგან განსხვავებული მომსახურების/საჭიროების შესახებ დაფინანსების მოთხოვნა;

გ.ლ) განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირი ითხოვს დაფინანსებას დავალიანების დაფარვისათვის;

გ.მ) მოთხოვნის შესწავლისას მონიტორინგის განყოფილების მიერ მომზადებულია დაფინანსების განხილვის თაობაზე უარყოფითი დასკვნა;

გ.ნ) დაინტერესებული პირი ითხოვს:

გ.ნ.ა) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობის, თვითმკურნალობის დაფინანსებას;

გ.ნ.ბ) სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მკურნალობის დაფინანსებას;

გ.ნ.გ) ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით მკურნალობის დაფინანსებას;

გ.ნ.დ) სტომატოლოგიური მომსახურებისა და დენტალური იმპლანტაციის დაფინანსებას;

გ.ნ.ე) შინმოვლის მომსახურების დაფინანსებას;

გ.ნ.ვ) სამედიცინო აღჭურვილობის შესაძენად (იმპლანტი, სუპინატორები და ორთოპედიული ფეხსაცმელი, პროთეზი, სამედიცინო აპარატურა და მისთვის განკუთვნილი სახარჯი მასალები) დაფინანსებას;

გ.ნ.ზ) რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მომსახურებას;

გ.ნ.თ) საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსებაზე მიღებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანხის გადატანას საქართველოს ფარგლებში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში;

გ.ნ.ი) საექსპერტო მომსახურების დაფინანსებას;

გ.ო) წარმოდგენილ ფორმა №IV-100/ა-ში პირს უფიქსირდება დიაგნოზი „პრაქტიკულად ჯანმრთელი";

გ.პ) შესწავლისას დადგინდა, რომ პირის/მისი წარმომადგენლის მოთხოვნა სხვა მუნიციპალური პროგრამებით/ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების იდენტურია.

გ.ჟ) განცხადების შესწავლის ან გადაწყვეტილების მიღებისას სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ პირი გარდაცვლილია. ასეთ შემთხვევაში, განმცხადებელს არ ეცნობება გადაწყვეტილება."

დ.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ზ" და „გ.ლ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დათქმიდან გამონაკლისს წარმოადგენს საყოველთაო წესით დაფინანსებული ისეთი გადაუდებელი შემთხვევები, რომლებზეც მიმწოდებელი, მოდულში გადმოაგზავნის შემთხვევის შესახებ ინფორმაციას, მოსარგებლე პირის გაწერიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში."

ე) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შემდგომ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის მოდულში ატვირთვისთვის დადგენილი ვადების ცვლილება დასაშვებია, მხოლოდ მოდულში ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო დროით."

ვ) მე-8 მუხლის

ვ.ა) მე-3 პუნქტის შემდგომ, დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 , 3^2 ,3^3, 3^4 პუნქტები:

„3^1. სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების (გარდა მედიკამენტებისა) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევებში ელექტრონული რეესტრი წარმოებს გადაწყვეტილების გააქტიურების/განაღდების საფუძველზე.

3^2. მედიკამენტების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში ელექტრონული რეესტრი წარმოებს მხოლოდ განაღდებული ან ნაწილობრივ განაღდებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

3^3.შემთხვევათა ელექტრონულ რეესტრში დოკუმენტაციის ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურების/განაღდების/ნაწილობრივ განაღდების შემთხვევაში.

3^4. თანხის ასანაზღაურებლად მიმწოდებელმა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს, როგორც ელექტრონულ მოდულში ატვირთვის გზით, ისე კანცელარიის მეშვეობით, ამასთან ელექტრონულად და მატერიალურად წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს იდენტური. სხვა შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.“

ვ.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თავშესაფრის ბენეფიციარების დაფინანსება განხორციელდება მიწოდებული სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების შესახებ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.“

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესი (შემდგომში - წესი)“(დანართი №1) საჭიროებს გარკვეული ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, რასაც განაპირობებს ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის სამუშაო პროცესში გამოვლენილ მოთხოვნათა მრავალფეროვნება. იმისათვის, რომ როგორც სამსახურის, ისე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული, საჭიროა გარკვეულ ნორმათა ჩამოყალიბება ან უკვე არსებულში ცვლილებების შეტანა.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, ტერმინთა განმარტებების მეტად გასაგებად ჩამოყალიბება, ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების დაზუსტება, განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურებში მეტი სიცხადის შეტანა, შემთხვევათა ელექტრონული რეესტრის ფორმირებისა და წარმოების სამართლებრივი მოწესრიგება.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

წესის მე-2 მუხლში „ტერმინთა განმარტება“ შედის ცვლილება და განსხვავებულად ყალიბდება „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის ცნება. „მიმწოდებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების მიწოდებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა, ასევე საზღვარგარეთ მოქმედი ორგანიზაცია, სადაც შესაძლებელია მოსარგებლე პირის მიერ დასაფინანსებლად მოთხოვნილი სამედიცინო მომსახურების მიღება.“ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმწოდებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ისეთი დაწესებულება, რომელსაც „ლიცენზიების და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მინიჭებული აქვს შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა. ამავე მუხლში, გაჩნდება ისეთი ტერმინების განმარტებებიც, როგორებიცაა: „გადაწყვეტილების ნაწილობრივ განაღდება“ და „თავშესაფარი“.

„გადაწყვეტილების ნაწილობრივ განაღდება - სხვა საჭიროების (მედიკამენტის) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მედიკამენტის ნაწილობრივ გაცემა.“ წესის მიხედვით, რეესტრში ხორციელდება გააქტიურებული/განაღდებული და ნახევრად განაღდებული შემთხვევების აღწერა. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვა საჭიროების, კერძოდ, მედიკამენტების დაფინანსებისას, აფთიაქის მხრიდან ხდება მათი ნაწილობრივ გაცემა (განაღდება), რაც ისევე საჭიროებს ელექტრონულ რეესტრში ასახვას, აღნიშნული ეტაპის გამოტოვება კი პრაქტიკაში წარმოშობს ხარვეზებს, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება.

ასევე, წესის მე-2 მუხლში ჩნდება ტერმინი „თავშესაფარი“ და განიმარტება შემდეგნაირად: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/კ: 406153111) მართვაში არსებული „ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი“. სწორედ „ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის“ ბენეფიციარები წარმოადგენენ იმ პრიორიტეტულ ჯგუფს, რომლებზეც არ ვრცელდება წესის ზოგიერთი მოთხოვნის მოქმედება. ასევე, საჭიროა მათი გამიჯვნა „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ სხვა ბენეფიციარებისაგან.

ტერმინთა ახალი განმარტებების გაჩენამ წესში განაპირობა მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციული ცვლილებაც და აღნიშნული პუნქტი განისაზღვრება შემდეგნაირად: ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კომისიისათვის განცხადებით მიმართვამდე 6 თვით ადრე მაინც, რეგისტირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება თავშესაფრის ბენეფიციარებზე, აგრეთვე იმ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომელთაც ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოებულ „დევნილთა მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.“

წესის მე-4 მუხლში შედის ცვლილება და ჩნდება დამატებითი ჩანაწერი მედიკამენტისგან განსხვავებული სხვა საჭიროებათა დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, საჭიროებათა ჩამონათვალი არ უნდა აღემატებოდეს 8 სავაჭრო დასახელებას.

წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „თავშესაფრის ბენეფიციარებს ქვეპროგრამით სარგებლობა ასევე შეუძლიათ მიმწოდებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე.“ აღნიშნული პუნქტის კორექტირების საჭიროება გაჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ როდესაც თავშესაფრის ბენეფიციარებს ესაჭიროებათ მაგალითად მედიკამენტებით მკურნალობა, აფთიაქი ვერ გასცემს მედიკამენტს ადგილზე ანგარიშსწორების გარეშე და საჭიროა მოთხოვნა განხილულ იქნას კომისიური წესით, მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელსაც განიხილავს კომისია და გასცემს რეკომენდაციას დაფინანსების შესახებ. რის შემდგომაც, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება განხორციელდება ამ წესის შესაბამისი მუხლით დადგენილი პროცედურის საფუძველზე.

ცვლილებები შედის წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტშიც. სამსახურის მიერ განაცხადის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლების „გ.ბ“, „გ.გ“, „გ.დ“ და „გ.ე“ მუხლები ჩამოყალიბდება განსხვავებულად. სამსახური განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თუ სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების მოთხოვნისას, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს. ასევე, თუ სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსებისას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ან/და კერძო დაზღვევის ან/და რეფერალური მომსახურების (ასეთი დაფინანსებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა თანადაფინანსების შემდეგ, დარჩენილი თანხა არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს. სამსახური განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე აქტიური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მათგანის ღირებულება არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს, გარდა იმ შემთხვევისა თუ რამდენიმე აქტიური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მოთხოვნის ღირებულება 1000 (ათასი) ლარზე ნაკლებია, მაგრამ ერთი და იმავე მიმწოდებლის მიერაა წარმოდგენილი. წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ბ“, „გ.გ“ და „გ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უარის საფუძვლების მოქმედება, არ გავრცელდება თავშესაფარის ბენეფიციარებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ რეგისტრაციის კონკრეტული მისამართი.

წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: სამსახური განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თუ „სამედიცინო მომსახურება/სხვა საჭიროება დაფინანსებულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სრულად, თუმცა პირი ითხოვს სხვა არასამედიცინო სერვისების, მათ შორის, ექიმის ჰონორარის, ვიაიპ პალატის და სხვათა ანაზღაურებას.“ აღნიშნული ჩანაწერის არსებობა წესში, განაპირობა ისეთმა შემთხვევებმა, როდესაც მოთხოვნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია სრულად, თუმცა მოსარგებლე ითხოვს ისეთი არასამედიცინო სერვისების ღირებულების ანაზღაურებას, როგორებიცაა: ექიმის ჰონორარი, ვიაიპ პალატა და სხვა.

სიახლეას წარმოადგენს ასევე წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ი“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, სამსახური განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო ისეთი მედიკამენტების დაფინანსების მოთხოვნისას, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სრულად ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2024 წლის 07 თებერვლის ბრძანების N1 დანართით დამტკიცებულია „ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნუსხა“, რომლებიც სრულად ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და აღარ არსებობს კომისიის მიერ მსგავს მოთხოვნათა განხილვის საჭიროება.

წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.კ.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ კომისიის მიერ განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირის ბოლო დაფინანსებაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ახალი განცხადების/მოთხოვნის მერიაში/მოდულში რეგისტრაციის თარიღამდე გასულია არაუმეტეს 3 თვისა, სამსახური იღებს განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, გარდა: იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურდება, რომ განმცხადებელი თავშესაფრის ბენეფიციარია. როგორც აღვნიშნეთ, თავშესაფრის ბენეფიციარები მიეკუთვნებიან პრიორიტეტულ ჯგუფს, რომლებზეც ასევე არ ვრცელდება წესის ფარგლებში, ბოლო დაფინანსებაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ხელახალი განცხადების წარმოდგენამდე განსაზღვრული 3 თვიანი ვადა.

წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.კ.გ“ ქვეპუნქტი განიცდის ცვლილებას და ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: თუ კომისიის მიერ განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირის ბოლო დაფინანსებაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ახალი განცხადების/მოთხოვნის მერიაში/მოდულში რეგისტრაციის თარიღამდე გასულია არაუმეტეს 3 თვისა, სამსახური იღებს განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, გარდა: „იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურდება, რომ პირის მიერ არ მომხდარა დაფინანსებული თანხის გამოყენება და წარმოდგენილია თავდაპირველად დაფინანსებულისგან განსხვავებული შინაარსის მოთხოვნა (აღნიშნული გამონაკლისი ვრცელდება ასევე მიმწოდებლის მხრიდან მედინაკამენტის მარაგის არ ქონით განპირობებულ შემთხვევებზე)“. აღნიშნული ჩანაწერის წესში გაჩენით, არ დაფინანსდება ისეთი მოთხოვნები, რომლებზეც კომისიამ უკვე გასცა დადებითი რეკომენდაცია, თუმცა მოსარგებლეთა მხრიდან არ მომხდარა მათი გამოყენება, მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზით და წესით განსაზღვრული 3 თვიანი ვადის ამოწურვამდე, განმეორებით წარმოადგენს ანალოგიური შინაარსის მოთხოვნას.

წესის მე-5 მუხლის მე-6 პუქნტმა განიცადა რედაქციული ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდენაირად: „ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ზ“ და „გ.ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დათქმიდან გამონაკლისს წარმოადგენს საყოველთაო წესით დაფინანსებული ისეთი გადაუდებელი შემთხვევები, რომლებზეც მიმწოდებელი, მოდულში გადმოაგზავნის შემთხვევის შესახებ ინფორმაციას, მოსარგებლე პირის გაწერიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში.“

წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატება შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის მოდულში ატვირთვისთვის დადგენილი ვადების ცვლილება დასაშვებია, მხოლოდ მოდულში ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო დროით.“ აღნიშნული ჩანაწერის მიზანია, მოდულში ტექნიკური ხარვეზის არსებობისას, არ შეიქმნას წესით დადგენილი ვადების ათვლის პროცესში შეფერხება და მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის მოდულში ატვირთვისთვის განსაზღვრულმა ვადამ, გადაიწიოს სწორედ ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო დროით.

წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ, დაემატება შემდეგი შინაარსის 3^1 , 3^2 , 3^3, 3^4 პუნქტები, რომლის მიხედვითაც განიმარტება ელექტრონული რეესტრის წარმოების პრინციპი. ვინაიდან, სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების (გარდა მედიკამენტებისა)

დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევებში ელექტრონული რეესტრი წარმოებს მოთხოვნის გააქტიურების/განაღდების საფუძველზე, ხოლო მედიკამენტების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში ელექტრონული რეესტრი წარმოებს მხოლოდ განაღდებული ან ნაწილობრივ განაღდებული მოთხოვნების საფუძველზე. შემთხვევათა ელექტრონულ რეესტრში დოკუმენტაციის ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურების/განაღდების/ნაწილობრივ განაღდების შემთხვევაში. თანხის ასანაზღაურებლად მიმწოდებელმა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს, როგორც ელექტრონულ მოდულში ატვირთვის გზით, ისე კანცელარიის მეშვეობით, ამასთან ელექტრონულად და მატერიალურად წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს იდენტური. სხვა შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. აღნიშნული ჩანაწერი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა როგორც მოთხოვნის გააქტიურების, ისე განაღდების/ნაწილობრივ განაღდების ასახვა რეესტრში და მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო, თუ ელექტრონულად და მატერიალურად წარმოდგენილი დოკუმენტაცია იდენტური არ არის, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

თავშესაფრის განმარტების გაჩენა წესში, განაპირობებს წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის რედაქციული ცვლილებას და ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „თავშესაფრის ბენეფიციარების დაფინანსება განხორციელდება მიწოდებული სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების შესახებ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.“

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.